



ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №17

2017 წლის 28 ივლისი

ქ. ახალციხე

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხისა და ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი მუხლის „ბ.ვ“ და „დ.ე“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებებისა და იერარქიულ რანგებში განაწილების წესის, შესაბამისი იერარქიული რანგისთვის მიკუთვნებული მოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის №215 დადგენილების შესაბამისად, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის და ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები დანართი №1-ის შესაბამისად.
2. დამტკიცდეს ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შრომითი ხელშეკრულებით დაკავებული პოზიციების ნუსხა და თანამდებობრივი სარგოების ოდენობები დანართი №2-ის შესაბამისად.
3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 ივნისის #12 დადგენილება (ვებგვერდი, 30/06/2017, სარეგისტრაციო კოდი: 190040000.35.138.016271)
4. ეს დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

ახალციხის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის

დროებით შემსრულებელი

გელა ნოზაძე

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის და ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა საშტატო წუსხა და თანამდებობრივი სარგოები

№	თანამდებობის დასახელება	საშტატო რიცხოვნება	თანამდებობრივი სარგო
1.	პოლიტიკური თანამდებობის პირი - საკრებულოს თავმჯდომრე	1	2650
2.	პოლიტიკური თანამდებობის პირი - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	1	1700
3.	პოლიტიკური თანამდებობის პირი - საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	5	1350
4.	პოლიტიკური თანამდებობის პირი - საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	6	1350
5.	I რანგი - საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საკრებულოს აპარატის უფროსი	1	1000
6.	III რანგი - საჯარო დაწესებულების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - იურიდიულ საკითხებში	1	560
7.	III რანგი - საჯარო დაწესებულების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში	1	560
8.	III რანგი - საჯარო დაწესებულების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - საორგანიზაციო საკითხებში	1	560
9.	III რანგი - საჯარო დაწესებულების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - წერილებისა და კადრების საკითხებში	1	540
10.	III რანგი - საჯარო დაწესებულების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - საორგანიზაციო საკითხებში	1	540

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შრომითი ხელშეკრულებით დაკავებული პოზიციების ნუსხა და თანამდებობრივი სარგოების ოდენობები

№	შრომითი ხელშეკრულებით დაკავებული პოზიციის დასახელება	ხელშეკრულებით გათვალისწინებული პოზიციების რაოდენობა	თანამდებობრივი სარგო
1.	კონსულტანტი - ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო, საბიუჯეტო, ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიაში	1	750